

ქ. ბათუმი

21 დეკემბერი 2017 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტის შესაბამისად ერთის მხრივ ა(ა)იპ ქ. ბათუმის საჭადრაკო კლუბი „ნონა“, (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ჭანტურიას სახით და მეორეს მხრივ, შპს "სენსი" (შემდგომში-„მიმწოდებელი“) დირექტორის ქეთევან ბოლქვაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვადგენთ წინამდებარე ხელშეკრულებას საქონლის მიწოდების შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას „შემსყიდველს“ გაუწიოს წინამდებარე ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევა, ხოლო „შემსყიდველი“ მიიღებს მომსახურეობას და გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის ღირებულებას.

1.3 სპორტული ღონისძიების ორგანიზებასთან დაკავშირებით 5 ცალი 200 ლარიანი ვაუჩერის მოწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად (CPV 92622000).

2. ხელშეკრულების განხორციელების წესი

2.1 „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას „მიმწოდებელს“ გადაუხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა.

2.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი მიაწოდოს შემსყიდველს სრულად და ხარისხიანად.

2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევა მოხდება შემსყიდველის მითითებულ ადგილას. 2017 წლის 21 დეკემბრიდან 2017 წლის 30 დეკემბრამდე.

3. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდებისთვის „შემსყიდველი“ „მიმწოდებელს“ გადაუხდის 1000 (ერთიათას) ლარს და 00 თეთრს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია „მიმწოდებელი“.

3.3 მომსახურეობის მიწოდების ანაზღაურება მოხდება შემსრულებლის და დამკვეთის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

4.2 საქონელი, ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია :

5.1.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.


5.1.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში .

5.2 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია შემსყიდველს მოსთხოვოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში .

5.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადებში რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებაში.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

მხარეთა პასუხისმგებლობის ზომები, რაც ამ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.



7. დაუძლეველი ძალა

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ დნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის არსებობის შემთხვევაში მხარეები ვალდებული არიან წერილობით აცნობონ ერთმანეთს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული „შემსყიდველის“ ან/და „მიმწოდებლის“ შეცდომებსა თუ დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათწინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

7.3 მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილება ან გადახრა არ დაიშვება მხარეებს შორის ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 ხელშეკრულების პირობებში ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 „მიმწოდებელს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება „შემსყიდველის“ ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე წერილობითი შეტყობინების შემდეგ.

9.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1 „მიმწოდებელმა“ და „შემსყიდველმა“ ყველა დონე უნდა იხმარონ, რათა არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ ხელშეკრულების, ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ წარმოქმნილი უთანხმოება თუ დავა.

10.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს დავის გადაწყვეტის მიზნით.

11. სხვა პირობები

11.1 მხარეებს არ აქვთ უფლება გადასცენ თავისი უფლებები და მოვალეობები მესამე პირს, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.2 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11.3 ხელშეკრულება, მასთან დაკავშირებული წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია შესრულდება საქართველოს სახელმწიფო ენაზე

11.4 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება „შემსყიდველთან“ და „მიმწოდებელთან“.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია 2017 წლის 15 დეკემბრიდან 2018 წლის 31 იანვრამდე.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი „ნონა“
მისამართი: ქ. ბათუმი ლ. ასათიანის 25
ს. კოდი: 445426138
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
სახაზინო კოდი: 740797519

დირექტორი: გიორგი ჭანტურია

შემსყიდველი

მიმწოდებელი:

შპს "სენსი"
მის: ქ. ბათუმი გორგილაძის ქ. N8 107ზ, 839
მიმღები ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
სს ბანკის კოდი: TBCBGE22
ბანკის კოდი: GE37TB1000000360246719
ს.კოდი: 245442686

დირექტორი: ქეთევან ბოლქვაძე

მიმწოდებელი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.ბათუმი

21.12.2017წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ა(ა)იპ ქ.ბათუმის „საჭადრაკო კლუბი ნონა“-ს დირექტორის გიორგი ჭანტურიას (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს სენსი დირექტორის ქეთევან ბოლქვაძის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი“), რომ ჩვენი მონაწილეობა გამარტივებულ შესყიდვის განხორციელებაში სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება N61 (21.12.2017.წ) არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ა(ა)იპ ქ.ბათუმის „საჭადრაკო კლუბი ნონა“

შპს "სენსი"

დირექტორი:

დირექტორი:

.....

გიორგი ჭანტურია


.....

ქეთევან ბოლქვაძე


მიღება-ჩაბარებისაქტი N61

ქ.ბათუმი

21 დეკემბერი 2017 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხვრივ ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი „ნონა“, (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ჭანტურიას სახით და მეორეს მხრივ, შპს სენსი დირექტორის ქეთევან ბოლქვაძის (შემდგომში-„მიმწოდებელი“) სახით ვადგენთ აქტს მასზედ, რომ „მიმწოდებელმა“ „შემსყიდველს“ 2017 წლის 21 დეკემბერს მოგვაწოდა 5 ცალი 200 ლარიანი ვაუჩერი (ხელშეკრულება N61 21.12. 2017წ)

საერთო თანხა შეადგენს 1000 (ერთიათასი) ლარს და 00 თეთრს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით

აქტის სისწორეს ვადასტურებთ :

ა(ა)იპ ქ. ბათუმის საჭადრაკო კლუბი „ნონა“

ს.კოდი: 445426138

დირექტორი : გ. ჭანტურია



შპს სენსი

ს.კოდი: 245442686

დირექტორი: ქეთევან ბოლქვაძე

